

შპს ჰორეკა

ფინანსური უწყისი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი:

ფინანსური უწყისი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	7
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	7
5. ძირითადი საშუალებები	10
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	11
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
8. ფული და ფულის ექვივალენტები	12
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
10. შემოსავალი რეალიზაციიდან	13
11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13
12. მიწოდების ხარჯი	14
13. საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი.....	14
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	15
15. პირობითი ვალდებულებები	15
16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	15

შპს ჰორეკა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
<u>აქტივები</u>			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	651,333	318,580
არამატერიალური აქტივები		37,442	36,217
გაცემული სესხი		17,119	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		705,894	354,797
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგი	6	1,709,227	1,270,766
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,315,371	906,475
გადახდილი ავანსები		6,730	8,098
ფული და ფულის ექვივალენტები	8	2,526,531	1,895,519
სულ მიმდინარე აქტივები		5,557,859	4,080,857
<u>სულ აქტივები</u>		<u>6,263,753</u>	<u>4,435,654</u>
<u>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		5,353,496	3,961,325
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>		<u>5,353,696</u>	<u>3,961,525</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		19,154	30,099
საგადასახადო ვალდებულება		76,113	22,685
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	814,790	421,345
სულ ვალდებულებები		910,057	474,129
<u>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>6,263,753</u>	<u>4,435,654</u>

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



შოთა ხარაზიშვილი

შპს ჰორეკა

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	8,781,082	7,981,702
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(4,880,903)	(5,280,515)
<u>საერთო მოგება</u>		<u>3,900,179</u>	<u>2,701,187</u>
მიწოდების ხარჯები	12	(902,280)	(831,790)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(833,107)	(641,168)
<u>საოპერაციო მოგება</u>		<u>2,164,792</u>	<u>1,228,228</u>
ფინანსური შემოსავალი		102,341	22,584
სხვა არასაოპერაციო მოგება, წმინდა		384,574	406,133
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი, წმინდა		(7,294)	(2,487)
<u>წმინდა მოგება</u>		<u>2,644,413</u>	<u>1,654,457</u>
მოგების გადასახადი		-	-
<u>წლის მთლიანი სრული მოგება</u>		<u>2,644,413</u>	<u>1,654,457</u>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<u>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</u>		<u>2,644,413</u>	<u>1,654,457</u>

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

შპს ჰორეკა
მთავარი ხარაზიშვილი

შპს ჰორეკა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	200	2,895,075	2,895,275
დივიდენდები	-	(588,207)	(588,207)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	1,654,457	1,654,457
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	200	3,961,325	3,961,525
გასული პერიოდის კორექტირება	-	(12,786)	(12,786)
დივიდენდები	-	(1,239,455)	(1,239,455)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	2,644,413	2,644,413
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	200	5,353,496	5,353,696

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჰორეკა (შემდგომში - კომპანია) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2008 წლის ივლისში. შპს ჰორეკა წარმოადგენს სავაჭრო კომპანიას, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიგიენური საშუალებების საქონლის იმპორტი და დისტრიბუცია.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგია:

მფლობელები	წილი %
სს პონტო კაპიტალ	22%
ზაზა კაიკაციშვილი	20%
შოთა ხარაზიშვილი	20%
ვახტან თოფურია	15%
არჩილ ხომასურიძე	15%
მიხეილ ქრისტესაშვილი	8%

კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, აბო თბილელის, №10.

კომპანიის დირექტორი: შოთა ხარაზიშვილი, 01021008216

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური უწყისი მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი. ფინანსური უწყისის არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური უწყისი წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური უწყისი მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური უწყისი მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სააღრიცხვო მსჯელობები და გადაწყვეტილებები მიმოიხილება სისტემატიურად. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ეს ცვლილება მოხდა, თუ ცვლილება ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, მაშინ ცვლილება გავლენას მოახდენს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური უწყისის სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ექვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშევა, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. მენეჯმენტის მოსაზრებით, ფინანსური უწყისის შედგენის თარიღისთვის ფინანსური მოთხოვნები არ არის ვადაგადაცილებული მოთხოვნები, რომელიც საჭიროებს გაუფასურების ანარიცხების შექმნას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშევა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის უწყისში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ უცხოურ ვალუტებში:

	რუბლი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	1,404	6,647
ფული და ფულის ექვივალენტები	72,679	2,285	80,451
	72,679	3,689	87,098
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(305,947)	(4,388)	(372,851)
	(305,947)	(4,388)	(372,851)
ღია საბალანსო პოზიცია	(233,267)	(699)	(285,753)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ევროსა და რუბლის ლართან მიმართებით 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას.

	2023	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%
რუბლის ეფექტი მოგება/(ზარალი)	46,653	(46,653)
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	57,151	(57,151)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს დამფუძნებლისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	დისპენსერები	სატრანსპორტო საშუალება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2021	746,532	397,660	26,027	24,472	17,304	1,211,995
შემოსვლა	170,853	36,544	2,844	3,298	-	213,539
გასვლა	(145,412)	(48,544)	-	-	-	(193,956)
31 დეკემბერი 2022	771,973	385,661	28,871	27,770	17,304	1,231,579
შემოსვლა	453,107	240,781	10,783	4,119	9	708,799
გასვლა	(169,045)	(20,171)	-	(352)	(287)	(189,855)
31 დეკემბერი 2023	1,056,034	606,270	39,654	31,537	17,026	1,750,521
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2021	(490,440)	(138,516)	(15,320)	(13,507)	(10,348)	(668,131)
წლის ცვეთა	(193,978)	(58,235)	(4,265)	(4,647)	(2,708)	(263,833)
გასული აქტივების ცვეთა	3,771	15,195	-	-	-	18,966
31 დეკემბერი 2022	(680,647)	(181,556)	(19,585)	(18,154)	(13,056)	(912,998)
წლის ცვეთა	(145,337)	(61,035)	(3,032)	(2,730)	(978)	(213,113)
გასული აქტივების ცვეთა	6,400	20,171	-	352	-	26,923
31 დეკემბერი 2023	(819,584)	(222,420)	(22,617)	(20,532)	(14,034)	(1,099,187)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	91,326	204,104	9,286	9,616	4,248	318,580
31 დეკემბერი 2023	236,451	383,850	17,037	11,005	2,992	651,335

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ჰიგიენა	857,384	648,059
დასუფთავება	343,107	287,637
დისპენსერები	297,204	117,449
ქიმია	161,813	180,318
საწვავი	9,694	3,779
სხვა	40,025	33,523
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	1,709,227	1,270,766

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მოთხოვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,315,035	906,475
პერსონალის მიმართ მოთხოვნა	336	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,315,371	906,475

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო. ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე	-	-
ვადაგადაცილება 0-30	613,489	-
ვადაგადაცილება 31-90	431,052	-
ვადაგადაცილება 91-180	126,359	-
ვადაგადაცილება 181-360	144,145	-
ვადაგადაცილება 361>	-	-
მოთხოვნები გაუფასურებამდე	1,315,035	-
გაუფასურების რეზერვი	-	-
წმინდა მოთხოვნები	1,315,035	-

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე	-	-
ვადაგადაცილება 0-30	424,147	-
ვადაგადაცილება 31-90	326,570	-
ვადაგადაცილება 91-180	13,546	-
ვადაგადაცილება 181-360	142,213	-
ვადაგადაცილება 361>	-	-
მოთხოვნები გაუფასურებამდე	906,475	-
გაუფასურების რეზერვი	-	-
წმინდა მოთხოვნები	906,475	-

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული სალაროში	-	479
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,371,115	1,517,775
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	155,416	377,265
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,526,531	1,895,519

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	689,950	394,369
პერსონალის მიმართ ვალდებულება	124,840	26,976
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	814,790	421,345

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო. ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან 2023 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2023</u>	<u>2022</u>
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან - ჰიგიენა	7,496,897	6,486,010
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან - დასუფთავება	521,463	714,817
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან - ქიმია	372,787	367,875
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან - დისპენსერები	343,943	363,039
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან - სხვა	23,921	49,927
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	22,071	34
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	8,781,082	7,981,702

11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 2023 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2023</u>	<u>2022</u>
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - ჰიგიენა	4,079,324	4,307,885
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - დასუფთავება	306,999	468,369
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - ქიმია	244,300	238,478
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - დისპენსერები	233,158	225,167
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - სხვა	17,122	40,616
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	4,880,903	5,280,515

12. მიწოდების ხარჯი

მიწოდების ხარჯები 2023 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2023</u>	<u>2022</u>
შრომის ანაზღაურება (მიწოდების)	550,589	518,353
ავტომობილის ხარჯი	145,723	134,539
იჯარის ხარჯი	83,889	85,057
ცვეთა	61,730	58,930
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	27,438	5,552
მარკეტინგული ხარჯი	18,956	10,453
მივლინების ხარჯი	11,139	16,923
მიწოდების სხვა ხარჯი	2,816	1,983
სულ მიწოდების ხარჯები	902,280	831,790

13. საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2023</u>	<u>2022</u>
შრომის ანაზღაურება	544,500	296,764
ცვეთა და ამორტიზაცია	156,919	210,081
საკონსულტაციო ხარჯი	38,465	33,643
HR-ის ხარჯი	23,602	3,503
იჯარის ხარჯი	20,008	28,368
საგადასახადო ხარჯი	14,481	16,254
საბანკო ხარჯი	12,450	10,484
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	7,413	7,040
საოფისე ხარჯები	6,028	2,952
კომუნალური ხარჯი	2,266	3,854
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	6,975	28,226
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	833,107	641,168

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არამაკორექტირებელი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

15. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, ფასდათმობისა და გადასახადების გამოკლებით. კომპანია კონსიგნაციით საქონლის მიყიდვისას შემოსავალს აღიარებს მიწოდების მომენტში, რადგანაც მომხმარებელს გააჩნია პროდუქციისთვის გადახდის უპირობო ვალდებულება.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქტზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულს იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად კომპანია არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია უსასყიდლოდ ახდენს დისპენსერების მომხმარებლის სარგებლობაში გადაცემას, თუმცა მიწოდებულ პროდუქციასთან მიმართებით დისპენსერების პოტენციურად მისაღები საიჯარო შემოსავალი არაარსებითია, შესაბამისად კომპანია არ იყენებს მსჯელობას თითოეულ გასაყიდ პროდუქტზე/მომსახურებაზე ფასების განაწილებისას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ფასს 9-შია წარმოდგენილი. ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შეძენის ხარჯსა და ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მიწეს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი / ლარი	ევრო/ლარი
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური უწყისის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ უწყისში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.